# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1415 2016 წლის 18 ივლისი ქ. თბილისი

## ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების (შემდგომში - დებულება) $7^4$ მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, აბროლაურის მუნიციპალიტეტი, 3 თვის ვადით, გათავისუფლდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან და მიეცეს უფლება, მოიპოვოს 3 000 (სამი ათასი) $მ^3$ საშენი მასალა (ღორღი) შემდეგი X და Y კოორდინატების საზღვრებში:

ა) სოფ. ზნაკვას მიმდებარე ტერიტორია - 1500 კბ.მ ღორღი:

| № | X | Y |
|---|---|---|
| 1 | 342875 | 4709527 |
| 2 | 342932 | 4709593 |
| 3 | 342950 | 4709535 |
| 4 | 342900 | 4709475 |
| S = 0.43 ჰა | | |
| WGS 1984; | | |

ბ) სოფ. ქვედა თლუღის მიმდებარე ტერიტორია - 1500 კბ.მ ღორღი:

| № | X | Y |
|---|---|---|
| 1 | 347183 | 4702018 |
| 2 | 347203 | 4702019 |
| 3 | 347216 | 4701980 |
| 4 | 347191 | 4701973 |
| S = 0.10 ჰა | | |
| WGS 1984. | | |

2. ლიცენზიისაგან გათავისუფლებული პირი - ამბროლაურის მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნებით (გეოსაინფორმაციო პაკეტები) განსაზღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის.

3. დებულების $7^4$ მუხლის $2^1$ პუნქტის შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის დადგინდეს განსხვავებული გადასახდელი თანხა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა, ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგი ოდენობის თანხების გადახდა:

ა) სოფ. ქვედა თლუღის მიმდებარე ტერიტორიაზე – 1500 მ$^3$ ღორღის მოპოვებისთვის - 300 (სამასი) ლარი;

ბ) სოფ. ზნაკვას მიმდებარე ტერიტორიაზე – 1500 მ$^3$ ღორღის მოპოვებისთვის - 300 (სამასი) ლარი.

4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (შემდგომში - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან 2 კვირის ვადაში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი